პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 181 (5211)

1974 წ. 12 სექტემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მთავარი თემაა ხალხთა სპარტაკიადა

რომა, 11 სექტემბერი. სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის აქ გამართულმა პლენუმმა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სპორტული გაზეთების რედაქტორთა შემოქმედებითი ანგარიშები განიხილა. დღის წესრიგში იდგა საკითხი: როგორ აშუქებენ გაზეთები საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებას და როგორ აპირებენ ამ დიდი ღონისძიების გაშუქებას.

განხილვა შეაჯამა სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მთავარმა რედაქტორმა ნ. კისელიოვმა. მან ხაზი გაუსვა პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით სპარტაკიადის პროპაგანდის მნიშვნელობას, ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდასთან სასპარტაკიადო სტარტების დაკავშირების აუცილებლობას, ჭაბუკებისა და ქალიშვილების ფართოდ ჩაბმას მშრ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. სპარტაკიადის თემა ყოველი სპორტული ჟურნალისტის მუშაობაში მთავარ თემად უნდა იქცეს.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს, აგრეთვე, საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივნის ა. ლეიკინის მოხსენება საბჭოთა სპორტის პროპაგანდის საერთაშორისო ასპექტებზე. (საქდესი).

## ხუთი დღე კოკისპირულ წვიმაში

ასეთ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მოტოციკლის მართვის მაღალი ტექნიკა. სპორტსმენი ერთნაირად გამბედავიც უნდა იყოს და თავდაჭერილიც, ფიზიკურად უსათუოდ ძლიერი და ამავე დროს აზარტული. სისწრაფე სამოტოციკლო მრავალჭიდის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, ვინაიდან გამარჯვება, ბოლოს და ბოლოს, წამის მეათედებით განისაზღვრება. მაგრამ სისწრაფისთვის ბრძოლამ არამც და არამც არ უნდა დაჩრდილოს საღი აზროვნების უნარი, მომენტის შეფასების გრძნობა, თორემ ადვილი შესაძლებელია სპორტსმენი „თამაშგარე" მდგომარეობაში აღმოჩნდეს და გამარჯვებაც იმას დაუთმოს, ვინც უფრო ფხიზელი თვალით შეაფასა სიტუაცია.

ერთი სიტყვით, სამოტოციკლო მრავალჭიდში მოასპარეზეს უამრავი „მტერი" ჰყავს ტალახის, ოღრო-ჩოღრო გარემოს, წყლიანი ზღუდეების, ჭაობისა და სხვა რთული ბუნებრივი პირობების სახით. ეს ყველაფერი შეჯიბრების დებულებითაა გათვალისწინებული და ამიტომაც ანგარიშგასაწევია.

მაგრამ მრავალჭიდის პროგრამა ეგრეთ წოდებული წმინდა რბოლის გარდა შეიცავს კროსს, მოტოსპრინტს, ტყვიის სროლასა და ხელყუმბარის ტყორცნას. ხუთი დღის მანძილზე მოასპარეზეებს დასაძლევი აქვთ დღეში საშუალოდ 350-400 კმ და მხოლოდ ამის შემდეგ ვლინდება გამარჯვებული როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში.

სამოტოციკლო მრავალჭიდში სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი ივანო-ფრანკოვსკის ოლქის ქალაქ კოლომიაში ჩატარდა და, უნდა ითქვას, მაყურებლების პოზიციიდან საკმაოდ ეფექტური სანახავი გამოდგა. სპეციალისტები ამას იმითაც ხსნიან, რომ შეჯიბრების ხუთივე დღეს კოკისპირული წვიმა არ შეწყვეტილა, თითქოს სპორტსმენებს სხვა თავსატეხი ცოტა ჰქონდათ!

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებმა. მოასპარეზეთა ინტერესი, როგორც ხედავთ, დიდი იყო: 225 მოტოციკლისტი, რომელთა შორის ბლომად ნახავდით საბჭოთა ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონებს, სსრ კავშირის ნაკრების წევრებს, თავდაუზოგავად იბრძოდა ჯერ გუნდის ინტერესებისთვის, მერე კი პირადი წარმატებისთვის.

მაგრამ, ცხადია, ხუთი დღის წინათ აღებული სტარტი ბევრმა უფინიშოდ დატოვა: ვინ დაშავდა, ვის ძრავამ უმტყუნა, ზოგმა კი ფიზიკურად ვერ გაუძლო დაძაბულობას...

„დაზარალებულთა" შორის, სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოტოციკლისტი და სსრ კავშირის ნაკრების წევრი ა. კლდიაშვილიც აღმოჩნდა. მან სტარტი ენერგიულად აიღო და თავიდანვე ფავორიტთა შორის მოექცა „250-ანებით" მოასპარეზეებში. ხოლო, როცა ორი დღის შედეგები დაზუსტდა, გამოირკვა, რომ კლდიაშვილი ერთპიროვნული ლიდერი ყოფილა. იგი მესამე დღის პროგრამაშიც ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ რბოლის მიწურულს უეცრად შეჩერდა — ძრავა მწყობრიდან გამოვიდა. რამდენს ეცადა სპორტსმენი აემუშავებინა დადუმებული მოტოციკლი, არაფერი გამოუვიდა და ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ძრავა სერიოზულად იყო დაზიანებული, ასპარეზობა შეწყვიტა...

საერთო გუნდური გამარჯვება ამ საინტერესო ჩემპიონატში უკრაინის მოტოციკლისტებმა მოიპოვეს. II ადგილი ხვდა მოსკოვის გუნდს, ხოლო III — საქართველოს ნაკრებ კოლექტივს, რომლის შემადგენლობაშიც კლდიაშვილის გარდა გამოდიოდნენ ვ. მანუკიანი, ვ. სიტნიკი, გ. ბეგიაშვილი, ნ. ჩვანოვი, ნ. ბიკოვი, ნ. ლარინი (მექანიკოსი ა. კაფაროვი, უფროსი მწვრთნელი თ. შალიბაშვილი, გუნდის უფროსი ნ. კლდიაშვილი).

კარგად იასპარეზა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმაც. მან II ადგილი დაიკავა ბელორუსიის გუნდის შემდეგ.

ც. ფცქიალაძე.

## ფრანგი სტუმარი თბილისში

ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე დღეს სტუმრობდა კანოეებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი შარლ დე კოკრემონი (საფრანგეთი). ფრანგი სტუმარი ეწვია რესპუბლიკის სპორტკომიტეტს და მისთვის საინტერესო საკითხებზე საუბარი ჰქონდა სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძესთან. ბ-ნი კოკრემონი დაინტერესდა საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობით, ქართველ სპორტსმენთა მიღწევებით, მომავალი პერსპექტივებით.

ფრანგმა სტუმარმა დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობები, ესტუმრა ჭადრაკის სასახლეს, ცენტრალურ ველოტრეკს, სანიჩბოსნო ბაზებს მტკვარზე და თბილისის ზღვაზე, ზამთრის საცურაო აუზს, იყო მცხეთაში.

სტუმარს ახლდნენ კანოეებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. ლუკატინი, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე კ. რევია და სხვ.

## შინ გზებიც გშველიან

ვილნიუსი, 11 სექტემბერი. ავტორალიში სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილეებმა ლიტვის გზებზე 2049 კილომეტრი გაიარეს. 12 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 118 ეკიპაჟი უაღრესად მწვავე ბრძოლაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს ჩქაროსნულ ეტაპებზე, სლალომსა და ციცაბო ფერდობებზე ასვლაში.

ცნობილი გამოთქმა ოდნავ რომ გადავასხვაფეროთ, შინ გზებიც გშველიან: საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიტველმა მრბოლელებმა გაიმარჯვეს. მათ საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს „ჟიგული-2101"-ისა და „ვოლგის" კლასების მანქანებით რბოლებშიც. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ შესაბამისად ძმები კ. და ა. გირდაუსკასების, ე. ბოვილაიტისისა და ი. ვაიშენასის ეკიპაჟები.

ვერცხლის ჯილდოები ესტონეთის წარმომადგენლებს ხვდათ, ხოლო ბრინჯაო უკრაინის გუნდმა დაისაკუთრა.

„ჟიგული-2103"-ისა და „მოსკვიჩ-412"-ის კლასების მანქანებით შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი ავტომობილისტები მ. ტიტოვი და ა. შიშკოვი (ეს უკანასკნელი ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის მანქანით ასპარეზობდა).

## იჟალოვა და მისი ამხანაგები

კიევი. ადგილობრივ კორტებზე გაიმართა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების პირადგუნდური საკავშირო პირველობა ჩოგბურთში.

ქალთა ერთეულების ფინალში თბილისელმა ა. ივანოვამ ბაქოელ ე. ბირიუკოვას სძლია, ხოლო ტალინელ მ. ამრესთან ერთად წყვილთა თანრიგშიც გაიმარჯვა.

თბილისელმა ვ. პერეგუდოვმა ფინალში წააგო ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან. ლვოველ ა. ეგოროვთან წყვილში პერეგუდოვმა ასევე ვერცხლის ჯილდო მიიღო დუეტთა შეჯიბრებაში.

ჭაბუკთა ტურნირში მესამე იყო ა. ჯაფარიძე (თბილისი).

## პელე: ოცდაათი ფეხბურთელი ჩემი შეხედულებით



მსოფლიოს ერთ-ერთმა პოპულარულმა ინგლისურმა საფეხბურთო ჟურნალმა „შუტმა" ახალი, 1974-75 წლების სეზონის წინ წამოიწყო ერთი რუბრიკით გაერთიანებული მოკლე წერილების სერია, სადაც წავარაუდევია მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების აზრთა და შეხედულებათა გაცნობა მკითხველებისთვის.

აღნიშნული სერიის ერთ-ერთი პირველი „სტუმარი" პელე აღმოჩნდა. ბრაზილიური ფეხბურთის მეფემ შეადგინა იმ 30 ფეხბურთელის სია, რომელთაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს უშუალოდ საფეხბურთო მინდორზე მასთან პირისპირ შეხვედრისას... თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სია თვით პელეს არ შეუდგენია. პელე დიდი გატაცებით ჰყვებოდა თავის სპორტულ თავგადასავალს და აი, სწორედ თხრობის პროცესში იქნა დადგენილი ის 30 ფეხბურთელი, რომლებიც პელემ განსაკუთრებული სითბოთი და აღტაცებით მოიხსენია.

აი, ისინიც:

მეკარეები: ჟილმარი (ბრაზილია), მაზურკევიჩი (ურუგვაი), იაშინი (სსრ კავშირი), ბენქსი (ინგლისი).

მცველები და ნახევარმცველები: ნილტონ და ჯალმა სანტოსები (ორივე — ბრაზილია), კუპერი და მური (ორივე — ინგლისი), შულცი და ბეკენბაუერი (ორივე — გფრ), სანტამარია (ესპანეთი), კოლუნა (პორტუგალია), მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია).

თავდამსხმელები: დიდი, გარინჩა, კლოდოალდო, ჟაირზინიო, გერსონი, ტოსტაო (ყველა — ბრაზილია), ეუსებიო (პორტუგალია), რატინი (არგენტინა), დი სტეფანო, სუარესი, ხენტო (ყველა — ესპანეთი), ვენსანი (საფრანგეთი), მეტრეველი (სსრ კავშირი), კრუიფი (ჰოლანდია), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), რ. ჩარლტონი (ინგლისი).

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ს. მეტრეველი იერიშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## წერილები რედაქციას

## ჩვენც წვლილს შევიტანთ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსაზღვრო მზრუნველობას იჩენენ ახალგაზრდა თაობის ფიზიკური და გონებრივი აღზრდისთვის. ეს ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული და ვცდილობთ ამ უანგარო დახმარებას საქმით ვუპასუხოთ. სამწუხაროდ, გლდანის საცხოვრებელი მასივის ახალგაზრდები ამის შესაძლებლობას მოკლებული ვართ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მასივი თბილისის ახალი რაიონია. ახალგაზრდებმა შევიყვარეთ მისი ნათელი და კეთილმოწყობილი სახლები, სუფთა ჰაერი, ანკარა წყალი და შესანიშნავი ხიმყუდროვე. მაგრამ ერთ სიამოვნებას მაინც მოკლებული ვართ: გლდანის მასივი კარგა დიდი მანძილითაა დაშორებული ქალაქის ცენტრს, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა სპორტული დაწესებულება და ბაზა. რა დასამალია, შორ მანძილზე სიარულს ხშირად ვერ ვახერხებთ.

სწორედ იმიტომ, რომ არ აღმოვჩნდეთ სპორტისგან გარიყული, უმორჩილესად გთხოვთ დაგვეხმაროთ ერთ კეთილ საქმეში: გამოვძებნოთ სადმე პატარა კუთხე და ჩამოვაყალიბოთ იქ სპორტული სექციები. ამას ჩვენ უფროსების დაუხმარებლად ვერ შევძლებთ და ამიტომაც მოგმართავთ თქვენ.

გლდანი ისტორიულად იყო და არის გამოჩენილ სპორტსმენთა, განსაკუთრებით კი მოჭიდავეთა კუთხე. პირობას ვდებთ, რომ ამ სახელო ისტორიას ჩვენც ჩვენს წვლილს შევმატებთ, მით უმეტეს, რომ გლდანის მასივში უკვე არსებობს 8 მიკრორაიონი და 8 საშუალო სკოლა, ერთ სკოლას სპორტული დარბაზიც კი აქვს. აი, სწორედ იქ არის, ჩვენი აზრით, შესაძლებელი საჭიდაო სექციის გახსნა.

გლდანის მასივის ახალგაზრდობის სახელით: შ. ყელბერაშვილი, გ. თოგოევი, თ. ტურიაშვილი, ს. სუჯიტაშვილი, თ. კიკნაძე და სხვ., სულ 14 ახალგაზრდა.

ახალგაზრდების თხოვნას მხარს უჭერს ამ მასივის მცხოვრები, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი გ. ზარზაქაძე.

## რესპუბლიკის სპორტკომიტეტში




### სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის უკეთ მზადების ნიშნით

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოისმინა რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელთა ანგარიში, თუ როგორ ემზადებიან ისინი სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისთვის.

თათბირზე განიხილეს მწვრთნელთა საქმიანობა, სპორტული ბაზების მზადყოფნა, გამოითქვა ბევრი საყურადღებო წინადადება, რომლებიც კიდევ უფრო ქმედითს გახდის ამ დიდი ფორუმისთვის სპორტსმენთა მზადებას.

ამასთან ერთად აღინიშნა ბევრი ნაკლი, სახელდობრ, ინვენტარით, აღჭურვილობითა და სპორტული ფორმით სპორტსმენთა სუსტი მომარაგება. ითქვა, რომ ზოგიერთი მწვრთნელი და სპორტსმენი ჯერ კიდევ არღვევს დისციპლინას, სპორტულ რეჟიმს, უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ საქმეს.

ანგარიშებით გამოვიდნენ და კამათში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ბალავაძე, დ. პერტენავა, სპორტის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციების თავმჯდომარეები ბ. კვინიხიძე, ი. ბოჭორიძე, კ. ლომინაძე, სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსი ს. ჯაიანი, სპორტულ განყოფილებათა უფროსები დ. კაპცოვი, გ. გაჩეჩილაძე, სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეები ნ. ასათიანი („ბურევესტნიკი"), ა. გიორგობიანი („განთიადი"), ვ. ულენტი („კოლმეურნე"), „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ნ. გვახარია, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების დირექტორები მ. ჯულელი, გ. კარტოზია, ვ. სვეტილკო, კ. გონაძე, გ. ზაალიშვილი, რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელები რ. აბაშიძე, ზ. მაჩხანელი, ლ. ძეკონსკი, რ. კორძაია, ტ. მესხი, შ. მარგიშვილი, ს. თედეევი, მ. კლდიაშვილი, ა. ბუსლაევი, ო. ლაკერბაი და სხვ.

თათბირის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ.

# მშდ კომპლექსი მოქმედებაში

როგორ დაინერგა და განვითარდა ჩვენს რესპუბლიკაში მშდ ახალი კომპლექსი, რომელიც, როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით იქნა შემოღებული 1972 წლის 1 მარტიდან?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საფუძველს მშდ კომპლექსი წარმოადგენს. ამიტომ გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მას ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ განვითარებაში.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში? რა მიღწევები და ნაკლოვანებები გვაქვს? რა ამოცანები და პრობლემებია დასახული მუშაობის უკეთ წარმართვისთვის? აი, ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ოფიციალურად წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, 1972 წელს, ისევე როგორც 1973 წელს, ჩვენ შევასრულეთ საკავშირო სპორტკომიტეტის დასახული გეგმები და შესაბამისად მოვამზადეთ 135 და 190 ათასი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 110 და 170 ათასისა. 1974 წელს გეგმით გათვალისწინებულია 160 ათასი ნიშნოსნის მომზადება. დღეისთვის გეგმა 57 პროცენტითაა შესრულებული, ამასთან, ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში ჩაბმულია 800 ათასზე მეტი ადამიანი.

ასეთია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ოფიციალური ციფრობრივი მონაცემები. ახლა გადავხედოთ რეალურ მდგომარეობას, შეეფარდება თუ არა ეს ციფრები სინამდვილეს? როგორია გეგმის შესრულების ხარისხი?

ახლახან დამთავრებულმა რესპუბლიკურმა პირველობამ მშდ-ს მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე დაგვანახა, რომ შეჯიბრების ოთხივე ეტაპზე მასობრიობა საკმარისი იყო, სპორტული შედეგები და შესრულების ხარისხი კი, სამწუხაროდ, ძალიან დაბალი. ეს კი ნიშნავს, რომ ადგილებზე არ მიმდინარეობს სისტემატური, გეგმიანი მუშაობა მშდ კომპლექსის სასწავლო ჯგუფებში, სპორტულ სექციებში და მხოლოდ შეჯიბრების წინ ხდება გუნდების შეკოწიწება.

სწორედ ამან განაპირობა ის მდგომარეობა, რომ რესპუბლიკურ პირველობაში დაშვებული ყველა ოქროს ნიშნოსნიდან, მხოლოდ 43 პროცენტმა შეძლო ოქროს ნიშნოსნის ნორმატივის ჩვენება.

უფრო მეტიც, როგორც ადგილებზე ამ საკითხის შესწავლამ დაგვანახა, სამხრეთ ოსეთში, მცხეთაში, თიანეთში, ამბროლაურში, მარნეულში და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში წლეულს მშდ-ს მრავალჭიდში არც ერთი შეჯიბრება არ ჩატარებულა, ხოლო თიანეთის, ქარელის, ადიგენის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, მახარაძის, თეთრი წყაროს, მესტიისა და ლენტეხის რაიონებმა მონაწილეობა არ მიიღეს მშდ-ს მრავალჭიდის ზონალურ შეჯიბრებებში, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სპორტსმენები საქართველოს პირველობის ფინალში არ გამოვიდნენ. ნათქვამიდან ნათელი ხდება, თუ როგორაა დაყენებული ნიშნოსანთა მომზადების საქმე აღნიშნული რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა ამ მდგომარეობაზე და მკაცრად დასაჯა ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარენი. ისინი გააფრთხილეს, რომ თუ უახლოეს ხანში არ გარდაქმნიან მუშაობას, მათ მიმართ კიდევ უფრო მკაცრი ზომები იქნება მიღებული.

მეორე, არანაკლებ მტკივნეული საკითხია ნორმატივების ჩაბარება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ნაკრებ გუნდებში, ბავშვთა და მოზარდთა, აგრეთვე, ახალგაზრდული და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ამ სპორტული კერების მრავალათასიან წევრთა უმრავლესობას ჩაბარებული არა აქვს ახალი კომპლექსის ნორმატივები. და ეს მაშინ, როცა საკავშირო სპორტკომიტეტის დადგენილებით 1974 წლის 1 მაისიდან ოფიციალურ შეჯიბრებაში არ დაიშვება სპორტსმენი, თუ იგი მშდ ახალი კომპლექსის ნიშნოსანი არ არის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს პროფკავშირული, საბჭოთა, კომკავშირული და, პირველ ყოვლისა, ფიზკულტურული ხელმძღვანელი მუშაკები ცუდ პირად მაგალითს იძლევიან — მათს უმრავლესობას ჩაბარებული არა აქვს მშდ-ს ნორმატივები და არც ემზადება ჩასაბარებლად.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, სამინისტროები და უწყებები, რომელთა გამგებლობაშიც არიან ფიზკულტურის კოლექტივები და რომელთაც ევალებათ ფიზკულტურის კომიტეტებთან ერთად მკაცრი კონტროლი დააწესონ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების რეალურობაზე, კმაყოფილდებიან ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიღებით. სუსტად ხელმძღვანელობენ და ნაკლებად ეხმარებიან ადგილობრივ ორგანიზაციებს.

იმისთვის, რომ მშდ კომპლექსში გამოვრიცხოთ სიყალბის, მიწერისა და თვალთმაქცობის ფაქტები, საკავშირო სპორტკომიტეტის წინაშე ასეთი საკითხი დავსვით: შემოღებულ იქნას კონტროლის ერთიანი სისტემა, ისეთი, როგორიც არსებობს სახალხო კონტროლის ორგანოებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაუსახა მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული გზები, მოვალენი ვართ გაორკეცებული ენერგიით მოვეკიდოთ მშდ კომპლექსის შემდგომ დანერგვა-განვითარებას. ყველას მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ეს კომპლექსი მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საფუძველს წარმოადგენს.

**ნ. სომხიშვილი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი.

# ბრძოლა დაიძაბა

ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობისთვის ბრძოლა დიდად დაიძაბა.

სტარტის ლიდერს ე. გრიგორიევას (ლენინგრადი) IV და V ტურებში გაუსწრეს ნ. ლოგინოვამ (მინსკი), რომელმაც ზედიზედ ოთხი პარტია მოიგო, და ვ. ვოლოვაჩმა (ხარკოვი), რომელმაც აგრეთვე 4 ქულა მოაგროვა. გრიგორიევას 3,5 ქულა და 1 გადატოვებული პარტია აქვს, ა. ხრულიოვას (ოდესა) — 3,5.

გრიგორიევასთან წაგების შემდეგ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, ოდესელმა პ. სამოხინამ 2 ქულა მოაგროვა და ა. როსინსკაიასთან (მოსკოვი) ერთად 3-3 ქულით ლიდერთა ჯგუფშია.

თბილისელმა რ. ტარმინოვამ სძლია ალმაათელ გ. გრებერს. მას ჯერჯერობით ეს ერთადერთი ქულა აქვს. თ. ილინამ (კიშინიოვი) ყველა პარტია წააგო.

**თ. ნინოშვილი.**

• • •

სურათზე: ჩემპიონატის ერთ-ერთი ტური.

მ. ზარგარიანის ფოტო.



# შვიდ სახეობაში

სოხუმში დამთავრდა „განთიადის" აფხაზეთის VI საოლქო სპარტაკიადა, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა. სპარტაკიადაში 900-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ისინი შვიდ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად გაიმარჯვა აკუსტიკის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის ნაკრებმა (ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ტ. ლოგინოვი). ინსტიტუტელებმა პირველობა დაისაკუთრეს ცურვაში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ხოლო ფრენბურთში I-II ადგილები გაიყვეს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" გუნდთან.

II ადგილი ხვდა გაზაპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის ნაკრებს (ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. ჩამაგუა), ხოლო III—საერთო მშენებლობის № 6 ტრესტის კოლექტივს (ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. კრიკლენკო).

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ცურვაში, მძლეოსნობასა და სროლაში 607 მონაწილემ მშდ-ს ახალი კომპლექსის ნორმატივები შეასრულა, ხოლო ზოგიერთმა ოქროს ნიშანიც დაიმსახურა.

სამწუხაროდ, ცურვაში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში თავისი წარმომადგენლები არ გამოუყვანია ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" ფიზკულტურულ კოლექტივს, ამ საწარმოში კი ბევრი ახალგაზრდა მუშაობს.

**გ. პოლოსიანი.**

სოხუმი.

# გიორგი ნიკოლაძე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსცა კიეველი პროფესორის ა. ბოგოლიუბოვის მონოგრაფია „გიორგი ნიკოლაძე". ამთავითვე უნდა მიეგოს ავტორს შესაფერი: გამოჩენილი ქართველი ინჟინერ-მეტალურგისა და მკვლევარი გეომეტრის ხანმოკლე, შინაარსიანი ცხოვრება და მრავალმხრივი მოღვაწეობა წიგნში საფუძვლიანად, შთამბეჭდავადაა აღწერილი.

სასიამოვნოა, რომ სათანადო ადგილი დაეთმო გ. ნიკოლაძის ესოდენ ნაყოფიერ მეცადინეობას სპორტის სფეროშიც. ბუნებრივია, „სპორტული" სტრიქონები მონოგრაფიაში მიჯრით არ გვხვდება: ისინი გაბნეულია გ. ნიკოლაძის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდთან შეფარდებით. მათი „მონტაჟი" ასეთ, მდიდრულ სურათს გვაძლევს:

სპორტი გიორგის ყველაზე ადრეული და სერიოზული გატაცება ყოფილა. ფოთში ბავშვობაშივე ისწავლა კარგად ცურვა. თბილისის გიმნაზიაში შესვლის (1898 წ.) შემდეგ მოწაფურ ტანვარჯიშულ ასპარეზობებში მონაწილეობდა. მის ბედად, თბილისის გიმნაზიას ტანვარჯიშის შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავდა — ჩეხი ანტონ ლუკაში.

1901 წელს ოჯახთან ერთად შვეიცარიაში ყოფნისას დების — რუსუდანისა და თამარის თანხლებით 13 წლის ყმაწვილი ვალისის ალპების ერთ-ერთ პატარა მწვერვალზე აკიდა და ალბათ მაშინ დაისახა მიზნად მთამსვლელობის დაუფლება, რომ შემდგომში თავისი სამშობლოს მწვერვალების დაპყრობა ეცადა.

1910 წ. ის, როგორც ჩინებული ტანმოვარჯიშე, სხვებთან ერთად სოფიის საერთაშორისო შეკრებაზე გაიგზავნა. ბულგარეთში ყოფნის 12 დღის განმავლობაში გ. ნიკოლაძე შეჯიბრებებშიც გამოდიოდა და მეგობრულ კონტაქტებსაც ამყარებდა იქაურ სპორტსმენებთან. ერთი წლის მერე რუსულ ტანვარჯიშულ საზოგადოებათა პირველ შეკრებაზე ის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელია. მის მოხსენებაში განვითარებულია აზრი, რომ „შევარდენში" თანაბარი უფლებებით უნდა შედიოდეს რუსეთის იმპერიაში მოსახლე ყველა ეროვნება. ამ მოსაზრებას გიორგი დაუღალავად ახორციელებდა ცხოვრებაშიც: პეტერბურგში მისი თაოსნობით გაიხსნა (1913 წ.) კავკასიურად წოდებული „მესამე შევარდენი" ამიერკავკასიის ყველა ეროვნების სტუდენტთათვის. მოგვიანებით კი საქართველოშიც ბევრი ტანვარჯიშული ჯგუფი ჩამოყალიბდა.

1912 წელს გიორგი და თამარ ნიკოლაძეები პრაღას VI სრულიად „სოკოლის" შეკრების მონაწილენი არიან. გიორგი იარაღებზე ვარჯიშობს და დიდ დიპლომსა და პირველ ჯილდოს იმსახურებს. შემდეგ იქვე მძლეოსნურ ექვსჭიდში ებმება და განსაკუთრებით ყოჩაღობს ბადროსა და შუბის ტყორცნაში. ექვსჭიდისთვის მას ცაცხვის ტოტებისგან დაწნული გვირგვინი და კვლავ დიდი დიპლომი გადაეცა.

20-ანი წლების დამდეგს საქართველოში დაბრუნებული გ. ნიკოლაძე ინტენსიურად ეძლევა ცალკე გეომეტრიულ, ცალკე მეტალურგიულ კვლევას და აგრძელებს მრქეფარე სპორტულ საქმიანობას. მისი თაოსნობით იმჟამინდელი სამხედრო-სპორტული საზოგადოება „ამირანი" მასობრივ სპორტულ ორგანიზაცია „შევარდნად" გარდაიქმნა, რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა. გამგეობისა და მთელი ორგანიზაციის სათავეში იდგნენ გიორგი, თამარ ნიკოლაძეები და გიორგი ეგნატაშვილი. ისინი მარტო საორგანიზაციო საკითხებს კი არ წყვეტდნენ, რეგულარულად ამეცადინებდნენ საზოგადოების პირველად უჯრედებს და საშუალო სკოლებშიც ატარებდნენ ტანვარჯიშულ გაკვეთილებს. ეს იყო ფიზკულტურისა და სპორტის ქმედითი პროპაგანდა, რასაც დიდად უწყობდა ხელს მასწავლებელთა პირადი ღირსებები. მოწაფეები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მაინც დამსგავსებოდნენ აღმზრდელებს. აი, როგორ იგონებს გ. ნი-

## ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

10 სექტემბერს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „პამირი" (დუშანბე) 2:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 3:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 3:1, „დინამო" (მინსკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „ზვეზდა" (პერმი) 3:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:0.

### II ლიგა III ზონა

10 სექტემბერს გამართულ შეხვედრებზე ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

#### „დინამო" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ფოთი)

**2:1**

ბოლო ტურებში ცუდად თამაშის შემდეგ ბათუმელმა ფეხბურთელებმა ძნელად, გაიუარესეს მოწინავე პოზიციები ლიდერთა ჯგუფში და ახლა თავიდან უხდებათ ბრძოლა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მათი მეტოქე — „კოლხეთი" ასევე ქულათა მოპოვების აუცილებლობის წინაშე დგას, ვინაიდან აუტსაიდერთა მორისაა...

უნდა ითქვას, რომ ფოთელებმა ტაქტიკურად სწორად წარმართეს თამაში: ისინი მინდვრის შუაგულს სწრაფად გადიოდნენ ზუსტი, გრძელი გადაცემებით და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მოპირდაპირე კართან. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას მათი ცენტრალური მცველი სუკიასიანი 10 მეტრის დაცილებით აღმოჩნდა მასპინძელთა კართან და გაიტანა გოლი.

დინამოელებმა ტაიმის დასასრულამდე რამდენიმე საიერიშო კომბინაცია გაითამაშეს სტუმართა კართან და მჭედლიშვილი(?) — ჩიტაური — ჩელებაძის შორის გათამაშებული ბურთი ამ უკანასკნელმა ზუსტად გაგზავნა კარში. ანგარიში გათანაბრდა.

შესვენების შემდეგ ბათუმელები უკეთ თამაშობდნენ, თუმცა, უნდა ითქვას, ისინი მაინც ვერ არიან უწინდელ სპორტულ ფორმაში. მათი იერიშები გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მინდორზე გამოვიდნენ ბეჟანიძე და ქიქავა. ფოთელთა მეკარე მარინს ძნელი ბურთების აღება მოუხდა.

მატჩი თავდებოდა, როცა ბათუმელებმა შეძლეს გადამწყვეტი გოლის გატანა: 88-ე წუთზე ქორიძის მიერ მოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ქიქავამ და თავით გაგზავნა იგი ბადეში.

ო. მურვანიძე.

#### „დილა" (გორი) — „გურია" (ლანჩხუთი)

**1:0**

მრავალრიცხოვანი მაყურებელი თავიდანვე საინტერესო, დაძაბული ბრძოლის მოწმე გახდა. ლანჩხუთელი ფეხბურთელები მწყობრად იცავდნენ თავს და ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ კონტრშეტევისთვის. თამაში მიმდინარეობდა ორმხრივ იერიშებში, სწრაფად.

ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. როგორც კი განახლდა შეხვედრა, სტუმრებმა კვლავ შეუტიეს და 55-ე წუთზე „დილის" მეკარე კირვალიძემ დროული ნახტომით გადაარჩინა თავისი კარი აშკარა გოლს.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში კი არ ჩანდა. ბოლოს, 84-ე წუთზე, მამესწარაშვილისგან მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა ბურჯანაძემ და „დილამ" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა.

ი. თევდორაშვილი.

#### „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ზუგდიდი)

**0:1**

მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა არც ზუგდიდელები რჩებოდნენ ვალში და დროდადრო სტუმრობდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე.

25-ე წუთზე ზუგდიდელთა ერთ-ერთი იერიში ზუსტი დარტყმით დაამთავრა ლომსაძემ.

მინიმალური ანგარიში ბოლომდე შემორჩა მატჩს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამაში „დამნაშავეა" ზუგდიდელთა მეკარე წყაროზია. თითქმის უიმედო ვითარებაშიც კი, როცა გოლი თითქოს გარდუვალი იყო, წყაროზია გაბედულად, თავგანწირვით ებმებოდა თამაშში და ზედიზედ იღებდა უძნელეს ბურთებს. მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ ოსტატურად მოთამაშე მეკარესთან.

ვ. შავიშვილი.

#### ბოლო ამბები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 3:1, „დინამო" (კიროვაბადი) — „ურალანი" (ელისტა) 2:1, „ფოლადი" (სუმგაითი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „დინამო" (ბრიანსკი) 1:2, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 2:1, „დინამო" (ვოლოგდა) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 1:1.

## ასე იყო მხოლოდ... 1881 წელს

ნიუ იორკი, 10 სექტემბერი. 22 წლის ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯიმი კონორსმა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატების (ეს ტურნირები ყოველწლიურად იმართება ნიუ იორკის გარეუბან ფორესტ-ჰილსის კორტებზე) 93-წლიანი ისტორიის მანძილზე ყველაზე დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია: ერთეულთა შეჯიბრების ფინალურ მატჩში პირდაპირ გაანადგურა სახელგანთქმული ავსტრალიელი კენ როზუოლი — 6:1, 6:0, 6:1. ამგვარი წარმატება — მატჩი სულ 68 წუთს გაგრძელდა — მხოლოდ ერთხელ იხილეს: 1881 წელს, პირველ ტურნირში, „მაშინ, როცა ჯენტლმენები კორტზე ფრაკებსა და ცილინდრებში გამოდიოდნენ" (ასე ირონიულად წერს ამერიკული ასოშიეიტედ პრესის სააგენტო).

39 წლის როზუოლთან ფინალური მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა კონორსმა თქვა:

— ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყო. კენი ფორესტ-ჰილსის კორტებზე ჯერ კიდევ მაშინ თამაშობდა, როცა მე დაბადებულიც არ ვიყავი.

ამერიკის შეერთებული შტატების 1956 და 1970 წლების ჩემპიონ როზუოლს მიაჩნია, რომ კონორსს ახლა დედამიწის ზურგზე ბადალი არ ჰყავს. შესაძლოა მას მეტოქეობა გაუწიოს მხოლოდ ავსტრალიელმა პროფესიონალმა როდ ლეივერმა, რომელმაც ორჯერ ერთ სეზონში ყველას აჯობა ოთხ უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებაში — უიმბლდონის ტურნირში, ავსტრალიის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატებში. ფორესტ-ჰილსში ლეივერი წლეულს ტრავმის გამო არ გამოსულა.

კონორსი და მისი მომავალი მეუღლე, ასევე ამერიკელი, 19 წლის კრის ევერტი (ქორწილი 8 ნოემბრისთვისაა დანიშნული) მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებად არიან აღიარებული. კონორსმა ოთხი უმთავრესი ტურნირიდან სამში გაიმარჯვა (მას მონაწილეობა არ მიუღია საფრანგეთის ღია ჩემპიონატში). ევერტი უძლიერესი იყო საფრანგეთშიც და უიმბლდონშიც, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ითამაშა და ფორესტ-ჰილსში ნახევარფინალამდე მივიდა. ამავე დროს, ევერტს თავისებური რეკორდი ეკუთვნის: მან ზედიზედ 56 მატჩი წაუგებლად ჩაატარა.

ეს „სარეკორდო სერია" შეწყვიტა ავსტრალიელმა ივონ გულაგონგმა, რომელმაც თავის მხრივ ფინალში დაკარგა ფარ-ხმალი: ამერიკელ ბილი-ჯინ კინგთან წააგო — 6:3, 3:6, 5:7.

კინგმა თანამემამულე როზმარი კაზალსთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა თანრიგში. ვაჟთა შორის საუკეთესო დუეტის სახელი მოიხვეჭეს ამერიკელებმა სტენ სმითმა და ბობ ლუტცმა. შერეულ წყვილებში ბადალი არ ჰყავდათ პაოლა ტიგარდენს (აშშ) და ჯონ მასტერსს (ავსტრალია).

თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი ამ შეჯიბრებას მეოთხედფინალში გამოეთიშა, როცა კონორსთან წააგო, ხოლო მოსკოველი ოლგა მოროზოვა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში ვერ გამოვიდა ტრავმის გამო. (საკდესი).

• • •



სურათზე თქვენ ხედავთ მომავალ ცოლ-ქმარს კრის ევერტსა და ჯიმი კონორსს. როგორც იცით, წლეულს ერთმაც და მეორემაც უიმბლდონის ჩემპიონობა მოიხვეჭა. ეს ფოტოც ამ ტურნირში გამარჯვებულთა მეჯლისის გახსნის დროსაა გადაღებული. ტრადიციის თანახმად, სამეჯლისო ცეკვები ერთეულთა თანრიგებში გამარჯვებულებმა უნდა გახსნან.

## სპორტ ლოტო

### მორიგი ტირაჟი

**მოსკოვი, 10 სექტემბერი.** დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 25-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო": 7 (ბიატლონი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 36 (სლალომი), 37 (სროლა), 44 (ფიგურული ციგურაობა), 46 (ჰოკეი).

„სპორტლოტო-2": 1 (საავიაციო სპორტი), 4 (მთამსვლელობა), 9 (ჭიდაობა), 16 (ტანვარჯიში), 26 (მოტობურთი), 33 (რეგბი).

## ახალი [illegible]-74

● **მოსკოვი, 10 სექტემბერი.** გაზეთ „იზვესტიის" ტრადიციული პრიზის გათამაშების აქ გამართულ პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 8:1 (3:0, 4:1, 1:0).

## და სპორტი

### კიდევ ერთი ნაშრომი ქართველი მეცნიერის შესახებ

კოლაძეს ცნობილი მთამსვლელი, ექიმი ი. ასლანიშვილი: „მარტო შესახედაობითაც იწვევდა განსაკუთრებულ პატივისცემას. მშვენიერი აღნაგობის, მძლეოსნის ტიპის, ტანმაღალი, ის თითქოს მთლიანად ბრინჯაოსგან იყო ჩამოსხმული, მისი მკაფიოდ გამოკვეთილი მუსკულატურის ყოველი ჯანით სავსე მოძრაობა ანტიკური სილამაზით გამოირჩეოდა. ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე და სხვა იარაღებზე მისი ლაღი ვარჯიში, ცურვა და წყალში ხტომა... სოფლად, გლეხებთან ერთად მასობრივ თამაშში — ლელობურთში მისი მონაწილეობა... ჭადრაკით მისი გატაცება, როცა ზაფხულობით, სადმე ჩრდილში ერთდროულად ათ მოწინააღმდეგეს ეთამაშებოდა დაფაზე დაუხედავად, მისი ნელი და დინჯი საუბარი, წყნარი ხასიათი, ყველასთან ერთნაირი მოსიყვარულე, გულკეთილი დამოკიდებულება. ეს ყველაფერი ასე იყო და ყოველივე ამისთვის ჩვენ ის ძალიან გვიყვარდა, დიდი მეცნიერი და ამავე დროს საუცხოო და უბრალო ადამიანი".

ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის გ. ნიკოლაძეს ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. ეს ღვაწლი ქართული სპორტული ტერმინების შემოღებით დაიწყო.

ესეც კარგადაა ცნობილი: საბჭოთა მთამსვლელობას საძირკველი მაშინ ჩაეყარა, როცა გ. ნიკოლაძის 18 აღზრდილი, მათ შორის 5 ქალი, მისი წინამძღოლობით მყინვარწვერზე ავიდა (28 აგვისტო, 1923 წ.).

1924 წლის ზაფხულში გიორგიმ მისივე თაოსნობით დაარსებული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ალპინიზმისა და ტურიზმის სექციისთვის დიდი სამთო ლაშქრობა მოაწყო რაჭა-ოსეთში. მარშრუტი: ზემო იმერეთი — სამხრეთ ოსეთი — ჩრდილოეთ ოსეთი — მამისონის ზეკარი — რაჭა. მიზანი: იალბუზზე ასასვლელად მომზადება. ეს მიზანი ხორცს ისხამს 1925 წლის 12 აგვისტოს და იმ დღეს გიორგის იალბუზზე უსრულდება 37 წელი!

ეს ორი ასვლა მხოლოდ სპორტული ხასიათისა კი არ იყო — ისინი მასობრივი სპორტის პროპაგანდისთვის, ტურიზმის განვითარებისთვის ხანგრძლივი, კარგად მოსაზრებული გეგმის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენდნენ.

შენი სამშობლო რომ კარგად იცოდე და მისთვის სარგებლობა მოგქონდეს, ღრმად უნდა შეისწავლო იგი — ასეთი იყო გიორგის დევიზი და ამიტომაც მთამსვლელობასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა სპორტული მუშაობის უფრო მასობრივ ფორმას — ტურიზმს.

თავის თავსაც ბევრს სთხოვდა და სხვებსაც, განსაკუთრებით მათ, ვინც მასთან მოღვაწეობდა: მოწაფეებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს. როგორც მასწავლებელი, საოცრად მკაცრი მომთხოვნი იყო სტუდენტებთან — თავის სპორტულ ამხანაგებთან. მისი რწმენით, სპორტსმენები სწავლაშიც სანიმუშონი უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან სპორტს მათში გეგმიანობა, მიზანსწრაფვა და მტკიცე ნებისყოფა უნდა აღეზარდა.

აი, ეს ყველაფერი მიმზიდველად მოგვითხრო წიგნის ავტორმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბოგოლიუბოვმა.

რამდენიმე შენიშვნა: აუცილებლად უნდა თქმულიყო, რომ 1954 წელს დასავლეთ პამირში, შახდარის ქედზე დაპყრობილ მწვერვალთა შორის უმაღლესს (6200 მ) ქართველმა ალპინისტებმა პირველამსვლელთა უფლებით გიორგი ნიკოლაძის პიკი დაარქვეს. შეიძლებოდა მაგალითების სახით აღნიშნულიყო, რომ АЛЬПИНИЗМ-ისა და ГИМНАСТИКА-ს შესატყვისი ქართული ტერმინები „მთამსვლელობა" და „ტანვარჯიში" გ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. ნაშრომის მეექვსე თავს, რომლის მესამედი არსებითად „სპორტულია", რატომღაც ჰქვია „ჭიათურის შავი ქვის პრობლემა".

თ. ებანოიძე.

## 10 ათასი ავტოგრაფი

ფული, შემოსავალი, მოგება — ასეთია სამი ვარიაცია იმ ძირითადი თემისა, რომელიც ბურჟუაზიულ სპორტს ამოძრავებს. ფულით იწყება და მთავრდება ყველა საქმიანი საუბარი პროფესიულ სპორტში. შემოსავალი და მოგება კი ის ფაქტორებია, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ სპორტის ამა თუ იმ სახეობის სიცოცხლისუნარიანობა და, მაშასადამე, რენტაბელობაც.

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში კარგი ფინანსური ალღო გამოიჩინეს დასავლეთ გერმანიის ნაკრების წევრებმა ბრაიტნერმა და ჰოინესმა. არ იფიქროთ, თითქოს ამ გუნდის სხვა წევრები მორჩილად ელოდნენ თავიანთ ხვედრს, მაგრამ ამ დუეტმა ეროვნულ ფედერაციასთან ფინანსურ კამათში მართლაც გამოიჩინა თავი.

მაგრამ ბრაიტნერისა და ჰოინესის მადა არ შემოფარგლულა მათთვის ოფიციალურად გამოყოფილი ჰონორარით. მსოფლიო ჩემპიონატის რეკლამა და სპორტული სამყაროს ინტერესი მათ დამატებითი შემოსავლის წყაროდ აქციეს და აქაც საკმაოდ კარგ შედეგს მიაღწიეს.

გამომცემლობა „შიგლმა" ჩემპიონატის წინ ფეხბურთის სპეციალური კრებული გამოუშვა. აი, სწორედ ამ კრებულის 210 ათასი ეგზემპლარის სატიტულო ფურცელს ბრაიტნერისა და ჰოინესის ავტოგრაფები ამშვენებს. რამდენი დრო მოანდომეს ფეხბურთელებმა ამ „ტიტანურ" შრომას არ ვიცით, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ გამომცემლობამ მათ 100 ათასი მარკა გადაუხადა გასამრჯელოდ.

## ... კიდევ 20 წუთი

ჰამბურგის მახლობლად, ერთ პატარა სოფელში, ფერმერებმა უცნობი სუბიექტი შეამჩნიეს, რომელიც ქურდულად მიიპარებოდა უპატრონო ფარდულისკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილზე პოლიცია გაჩნდა.

ოპერაცია ელვის სისწრაფით შესრულდა: პოლიციელებმა ჯერ ალყა შემოარტყეს ფარდულს, მერე შეიარაღებულნი შეცვივდნენ შენობაში და ასეთ სურათს წააწყდნენ: კუთხეში მოკალათებული სუბიექტი მისჩერებოდა პორტატულ ტელევიზორს, რომელშიც ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს გადაცემდნენ.

პოლიციელთა დანახვაზე უცნობმა სხაპასხუპით თქვა: ამა და ამ ციხიდან გამოქცეული პატიმარი ვარ, ტელევიზორი აქვე სოფელში მოვიპარე. ახლა კიდევ 20 წუთი მაცალეთ და დანარჩენს მატჩის შემდეგ მოგიყვებითო.

## 13 სულაც არაა თარსი რიცხვი

ეს ამბავი ნიცაში, მსოფლიო ჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში მოხდა. ერთ-ერთი ტურის წინ იუგოსლავიის მოჭადრაკეებმა, რომლებიც ფინელებს უნდა შეხვედროდნენ, სათითაოდ უარი თქვეს თამაშზე. ორგანიზატორები დაიბნენ, ვერაფრით მიხვდნენ, რამ გამოიწვია ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის ასეთი მოულოდნელი შიში. ბოლოს ვიღაცამ თავში შემოირტყა ხელი:

— დღეს ხომ 13 რიცხვია, თარსი დღე. აი, როგორი მორწმუნენი ყოფილან იუგოსლაველები!

მართლაც, ის დღე 13 ივნისი იყო, მაგრამ იუგოსლავიის მოჭადრაკეების ბოიკოტი რელიგიური მოტივით კი არ იყო გამოწვეული, არამედ წმინდა სპორტული მოსაზრებით: 13 ივნისს, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის დღეს, იუგოსლავიის ნაკრები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს — ბრაზილიის ეროვნულ გუნდს ეთამაშებოდა.

მატჩი ფინეთი — იუგოსლავია მაინც შედგა, მაგრამ იუგოსლაველები ისე უყურადღებოდ თამაშობდნენ, რომ შედარებით სუსტ მეტოქესთან შეხვედრა ყაიმით (2:2) დაამთავრეს. ფეხბურთელთა მატჩიც ფრედ (0:0) დასრულდა.

# ტურნე დამთავრდა

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ გამართული მეექვსე მატჩით დაამთავრა ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სტუმრებისა და მასპინძელი ქვეყნის ეროვნული გუნდის შეხვედრამ ამჯერადაც დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 82:72 (41:33).

ამ დასკვნით შეხვედრას თითქმის 7 ათასი მაყურებელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ აშშ-ს ვაჭრობის მინისტრი ფ. დენტი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ე. ბატცი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარტმანი, სახელმწიფო მდივნის მრჩეველი ჰ. სონენფელდი.

სტუმრები ვერც ერთ დაწინაურდნენ. პირველ ტაიმში, მაგალითად, ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 23:16, ხოლო შესვენების შემდეგ განახლდა თუ არა თამაში, მათ ზედიზედ მუთჯერ აილეს მასპინძელთა კალათი და ისევ წინ გავიდნენ — 43:41. მაგრამ ფინიშზე ინიციატივის ხელში ჩაგდება მათ ვერა და ვერ მოახერხეს.

კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა ამერიკელთა ნაკრების ლიდერმა დევიდ ტომსონმა, რომელმაც თავის გუნდს 30 ქულა მოუტანა.

საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო კიეველი ა. სალნიკოვი — 20 ქულა. ლენინგრადელმა ა. ბელოვმა 4 ქულით ნაკლებში შესძინა თავის კოლექტივს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის კალა-

[illegible] დრების ეს [illegible] გამოფენა [illegible] ტარდება.

# სტუდენტთა ვაჟკაცობა და ოსტატობა

გასულ კვირას კალუგის მახლობლად, ოკის მარჯვენა ნაპირზე, სპორტის ათასობით მოყვარულმა მოიყარა თავი. ისინი მოვიდნენ კოსმონავტიკის ფუძემდებლის ქ. ციოლკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მოტოკროსის სანახავად. ეს შეჯიბრება რიგით მეათე იყო.

ასპარეზობის ტრასა მეტისმეტად დასერილ, ციცაბო აღმართ-დაღმართებით და მკვეთრი მოსახვევებით აღსავსე მიდამოებში გადიოდა. ასეთი რთული დისტანციის გასავლელად აუცილებელი იყო უზადო ოსტატობა, ვაჟკაცობა, სიმამაცე, მიზანსწრაფვა...

ყველა ეს თვისება გამოავლინეს მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის მოტოკროსმენებმა. მათ მიეკუთვნათ კიდეც პირველობა და საპატიო პრიზი, რომელზეც ქ. ციოლკოვსკია გამოსახული.

**ნ. ალექსანდროვი.**
(საკდესის კორ.).

კალუგა.

# ობიექტივში მსოფლიო

◆ საათში 360 კმ სისწრაფით

◆ სამთომოთხილამურეები — სინთეზურ ტრასაზე

სურათზე თქვენ ხედავთ უჩვეულო ფორმისა და კონსტრუქციის სარბოლ ავტომანქანას, რომელიც დენის პრაიდლმა ააწყო. მან სწორედ ამ ორიგინალური მანქანით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი მილის ერთ მეოთხედზე (402 მ). მიუნჰენის მახლობლად მდებარე ტრასაზე ამ მოკლე დისტანციის გავლისას პრაიდლის ავტომობილმა საათში 360 კმ სისწრაფე განავითარა.

ცაფ — უნიფაქსის ფოტო.





ამ ფოტოზე სამთომოთხილამურეებს სინთეზურ ტრასაზე ვარჯიშის დროს ხედავთ. ეს საინტერესო ტრასა, რომელიც დაახლოებით 80 ათასი ასეთი მრგვალი ჯაგრისისგან შედგება, ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში ააგეს. სამხრეთ მორავიის ამ ქალაქში აშენებული სინთეზური ტრასა პირველია ჩეხოსლოვაკიაში. მისი სიგრძე 245 მეტრია, ხოლო სიგანე — 16 მეტრი. მასზე ერთდროულად 80 მოთხილამურეს შეუძლია ვარჯიში. ფოტოს მარჯვენა ნაწილზე აღბეჭდილია სამთოსათხილამურო სპორტში ქვეყნის ჩემპიონი სტანისლავ კანტოვსკი ვარჯიშის დროს, მარცხნივ კი ხედავთ სპორტსმენებს, რომლებიც დასაშვებად ემზადებიან.

იუნაიტედ პრესის ფოტო.

# რაიონული სპორტი

◆ ჩხოროწყუ

„კოლმეურნის" რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრებები ხელბურთში, ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში. ხელბურთელთა ტურნირში გაიმარჯვა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა. ფრენბურთში პირველობა სოფელ ხაბუმეს კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლექტივმა დაისაკუთრა, ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში კი გაიმარჯვა სოფელ მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა.

**ს. ჯალაღონია.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისი სპორტულ ბაზაზე

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. 37). ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 12-25 სექტემბერი. 12 სექტემბერს გაიმართება VII ტური, 13-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 15 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მისწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14118